

საიდ. №50807/03+

### გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1151

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ვეუტია (თავმჯდომარე), ნ. ბებრიშვილი, მ. ფანჩვიძე, ნ. ჯიქიას მდივნობით, განიხილა სასაქონლო ნიშნის „*DA!*“ (რეგ: №17851, თარიღი: 18.09.2007) მფლობელი მეკალი ტამოვეის საჩივარი კომპანიის „ობშჩესტვო ს ოგრანიჩენოი ოტვეტსტვენოსტიუ „სოემესტნოე პრედპრიაციე ნიდან-ეკოფრუკტ“ (რუსეთის ფედერაცია) სასაქონლო ნიშნის „*DA!*“ საქართველოში რეგისტრაციის შესახებ ექსპერტიზის 2009 წლის 26 ივნისის №152723 დადებითი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი, პატენტწმუნებული დავით ზურაბიშვილი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მოითხოვს მის გადასინჯვას შემდეგი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი იმავე საქონლის მიმართ რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია. კანონის აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით, დ.

ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის სახელზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „DA!“ არ უნდა დარეგისტრირდეს, რადგან ის იდენტურია საქართველოში აპელანტის სახელზე 2007 წლის 18 სექტემბერს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „Da!“ (რეგ.: №17851).

აქედან გამომდინარე, აპელანტის წარმომადგენელი მოითხოვს შეიცვალოს ექსპერტიზის გადაწყვეტილება და არ მოხდეს სასაქონლო ნიშნის „DA!“ (საიდ: 50807) რეგისტრაცია საერთაშორისო კლასიფიკატორის 32-ე კლასში შემაჯავლი საქონლისათვის (ლუდი; მინერალური წყალი და სხვა უაღკოპოლო სასმელები; ხილის სასმელები და ხილის წვენები; ხილის ნექტარი; ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები).

აპელანტის არგუმენტებს არ ეთანხმება და უსაფუძვლოდ მიიჩნევს განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი, პატენტწმუნებული შალვა გვარამაძე. მისი აზრით, აპელანტია არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი ფერადია და ჩაწერილია თეთრ ფონზე წითელი ფერის სტილიზებული შრიფტით. იგი, უფრო მეტად ლათინურ ანბანს მიმსგავსებული „D“ და „a“ ასოსგან შემდგარი სიტყვაა ბოლოში ძახილის ნიშნით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასოები ლათინური ანბანიდანაა აღებული, მაშინ ლათინურის ფუძეზე წარმოქმნილ არც ერთ ენაზე სიტყვას „Da“ არ გააჩნია რაიმე მნიშვნელობა და ის განხილული უნდა იქნეს როგორც ხელოვნური, მოგონილი სიტყვა, ფიგურული ელემენტისაგან შემდგარი ნიშანი, სიტყვიერი ნაწილის გარეშე. მისი აზრით, ექსპერტიზამ სრულიად სამართლიანად გამოიტანა გადაწყვეტილება. სადაო სასაქონლო ნიშანი განსხვავებით აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა, ცალსახად წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს, ჩაწერილს სტანდარტული ასოებით კირილიცას ანბანით, ბოლოში ძახილის ნიშნით. რუსულ ენაზე ის ნიშნავს „დაახ“, ანუ ბრძანებით კილოში წარმოთქმულ თანხმობას. ის არ არის შესრულებული შავ-თეთრისაგან განსხვავებულ ფერებში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შ. გვარამაძის აზრით, ნათლად ჩანს, რომ სასაქონლო ნიშნები „Da!“ (ფიგურული) და „DA!“ სრულიად არ არიან იდენტურები როგორც ამას ამტკიცებს აპელანტი. იდენტურობა გამოირიცხება ჯერ ერთი იმით, რომ აპელანტის ნიშანი ფერადია და უფრო მეტ ნაწილში განიხილება, როგორც ფიგურული, სადაო ნიშანი კი სიტყვიერია. მეორე – ლათინური და კირილიცას ანბანი „დ“ და „ა“ ბგერებისათვის სხვადასხვა ასოებს იყენებს. განსხვავებულია აგრეთვე საქონლის ჩამონათვალიც. აპელანტის

ნიშანი რეგისტრირებულია მხოლოდ საქონლისათვის: „ლუდი, უალკოჰოლო სასმელები და ხილის წვენები“. სადაო ნიშანი კი განცხადებულია საქონლისათვის: „ლუდი, მინერალური და გაზიანი წყლები და სხვა უალკოჰოლო სასმელები; ხილის სასმელები და ხილის წვენები; ხილის ნექტარები; ვაჟინები და სასმელების დამამზადებელი სხვა შედგენილობები“.

შ. გვარამაძე აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სასაქონლო ნიშნები არ არის იდენტური და საქონლის ჩამონათვალიც განსხვავებულია. ამიტომ, უსაფუძვლოდ მიაჩნია აპელაციის სამართლებრივ საფუძველად „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტზე მითითება. სხვა სამართლებრივი საფუძველი ან მოტივაცია, მისი განცხადებით, აპელაციაში არ არის აღნიშნული. შესაბამისად, განცხადებული ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის აზრით, სააპელაციო მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა მოხდეს განცხადებული სასაქონლო ნიშნის „DA!“ რეგისტრაცია.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მიუხედავად გარკვეული ვიზუალური სხვაობისა, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშანი ადრევაძე მსგავსია როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურადაც.

კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებულისაგან განსხვავებით ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ნიშანი შესრულებულია წითელი ფერის ასოებით და ერთი შეხედვით ლათინური შრიფტით, ორივე ნიშანი სიტყვიერია და შედგება ორი ასოსაგან, რომელთა ბოლოშიც დასმულია – ძახილის ნიშანი (!), რომელიც სასაქონლო ნიშნებში იშვიათად გვხვდება. კოლეგიამ მიიჩნია, რომ რეგისტრირებულ ნიშანში „Da!“ (რეგ: №17851) გამოყენებულია სტილიზებული კალიგრაფიული რუსული ასოები და, შესაბამისად, აქვს შინაარსობრივი დატვირთვა. აღნიშნულის მტკიცების საფუძველს იძლევა სწორედ ძახილის ნიშანი, რადგან, როგორც წესი, ფანტაზიური სიტყვის ბოლოს ის არ იქნებოდა გამოყენებული. ამასთან, კოლეგია დაეთანხმა რა განცხადებული ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის შ. გვარამაძის მოსაზრებას, რომ ლათინურის ფუძეზე წარმოქმნილ არც ერთ ენაზე სიტყვას „Da!“ არ გააჩნია რაიმე მნიშვნელობა დაადგინა, რომ ნიშანი მთლიანობაში აღიქმება როგორც სემანტიკური დატვირთვის მქონე გავრცელებული რუსული სიტყვა – „ДА!“, რომელიც ჩაწერილია სტილიზებული კალიგრაფიული შრიფტით. შესაბამისად, ქართველი მომხმარებელი მას წაიკითხავს როგორც „და!“-ს და თარგმნის

როგორც – „ღიას“, „პო“ და „კი“, ისევე როგორც წაიკითხავს და თარგმნის განცხადებულ ნიშანში გამოყენებულ სიტყვას „DA!“, რომელიც შესრულებულია სტანდარტული რუსული (კირილიცა) ასომთავრული შრიფტით.

სწორედ ამიტომ, ფონეტიკურად და სემანტიკურად იდენტური ნიშნებისათვის, მხოლოდ ფერი და შრიფტი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისი განმასხვავებლობის მქონე მახასითებელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებული ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში, სხვადასხვა პირის საკუთრებაში აღმოჩნდება ერთგვაროვანი საქონლის მიმართ რეგისტრირებული მსგავსი სასაქონლო ნიშნები, რომელთა თანაარსებობა ერთ სასაქონლო ბაზარზე გამოიწვევს აღრევასა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

შესაბამისად, არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მთლიანად დაკმაყოფილდეს მეკალი ტამოევის სააპელაციო საჩივარი.
2. გაუქმდეს ექსპერტიზის 2009 წლის 26 ივნისის №152723 დადებითი გადაწყვეტილება და „ობშჩესტო ს ოგრანიჩენოი ოტვეტსტვენოსტიუ „სოვმესტნოე პრედპრიატიე ნიდან-გეოფრუქტ“-ს უარი ეთქვას სასაქონლო ნიშნის „DA!“ რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეგუტია

წევრები:

ნ. ბებრიშვილი

მ. ფანჩვიძე

